

კურიკულუმი

| | |
|--|---|
| ფაკულტეტის დასახელება | მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი |
| პროგრამის დასახელება | ძირითადი საბაკალავრო აკადემიური პროგრამა ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, კულტურის მენეჯმენტი, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია; დამატებითი სპეციალობა: ნიდერლანდისტიკა) |
| მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში The Degree of Bachelor of Humanities in English Philology ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში The Degree of Bachelor of Humanities in German Philology ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ესპანისტიკაში The Degree of Bachelor of Humanities in Hispanic Studies ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი საფრანგეთისმცოდნეობაში The Degree of Bachelor of Humanities in French Studies ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი იტალიისმცოდნეობაში The Degree of Bachelor of Humanities in Italian Studies ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სლავისტიკაში The Degree of Bachelor of Humanities in Slavic Studies ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი აღმოსავლეთმცოდნეობაში The Degree of Bachelor of Humanities in Oriental Studies ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში The Degree of Bachelor of Humanities in History ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ხელოვნებათმცოდნეობაში The Degree of Bachelor of Humanities in Art Studies არქეოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი BA in Archaeology მენეჯმენტის ბაკალავრი BA in Management ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში The Degree of Bachelor of Humanities in Philology |
| პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა) | 8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სპეციალობა - 120 კრედიტი • ზოგადი მოდული - 60 კრედიტი • დამატებითი სპეციალობა ან თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი | პროგრამა შემუშავებულია 2015 წელს და განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე. ბოლო ცვლილება დამტკიცებულია საბჭოზე: 2017 წლის 22 სექტემბრის ოქმი Nr. 11 |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები) | |
| ერთიანი ეროვნული გამოცდები. ევროპული ენებისა და სლავისტიკის მიმართულების სტუდენტები სასურველია ფლოდბენენ ენას A2 დონეზე. | |
| პროგრამის მიზნები | |
| ჰუმანიტარული მეცნიერებები ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამაა. მისი მიზანია: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა: <ul style="list-style-type: none"> • შეასწავლოს სტუდენტს ერთ-ერთი ევროპული ენა (ინგლისური / გერმანული / ესპანური / ფრანგული / იტალიური / რუსული) და მისი აგებულება მაღალ დონეზე; • მისცეს მას ფართო ცოდნა შესაბამისი ევროპული ქვეყნის კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ; • გააცნოს მას შესაბამის ევროპული ქვეყანაში მიმდინარე კულტურული პროცესები ლიტერატურათმცოდნეობის და ენათმეცნიერების პერსპექტივიდან. | |

ადმოსავლეთმცოდნეობა:

- შეასწავლოს სტუდენტს ერთ-ერთი ადმოსავლური ენა (სპარსული / ებრაული / არაბული / თურქული) საშუალო დონეზე, რათა მან შეძლოს ისტორიული, ლიტერატურული და სხვა წყაროების ორიგინალში მოძიება და წაკითხვა;
- მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა ერთ-ერთი ადმოსავლური ქვეყნის (ირანი / ისრაელი / არაბული ქვეყნები / თურქეთი) ისტორიისა და კულტურის შესახებ, ასევე გააცნოს მას კონკრეტული ადმოსავლური ქვეყნის ლიტერატურა.

ისტორია:

- შეასწავლოს სტუდენტს მსოფლიოს ცივილიზაციების წარსული და განვითარების ისტორია;
- მისცეს მას ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის შესახებ;
- განუვითაროს მას ისტორიული წყაროების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი კულტურულსა და ისტორიულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- წარმოაჩინოს ისტორია, ერთის მხრივ, როგორც კვლევის დარგი და მეორეს მხრივ, როგორც წარსულის “ფაქტების” ტენდენციური და მიზანმიმართული კონსტრუირება პოლიტიკური ელიტის ინტერესების თუ საზოგადოების აწმყოს მოთხოვნების შესაბამისად;
- ხელი შეუწყოს სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ნაციონალური, კულტურული და რეგიონული იდენტობის ჩამოყალიბებას, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრებასა და პატივისცემას.

არქეოლოგია:

- შეასწავლოს სტუდენტს არქეოლოგიის მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორია და საფუძვლები;
- შეასწავლოს სტუდენტს მსოფლიოს და საქართველოს ისტორიის ყველა პერიოდში (ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა, რკინის ხანა, კლასიკური ხანა და შუა საუკუნეები) გავრცელებული კულტურებისა და ცივილიზაციების არქეოლოგია;
- მისცეს მას ფართო ცოდნა არქეოლოგიური კვლევა-ძიების (საველე,კამერალური,GIS) ზოგადი პრინციპების შესახებ;
- შეასწავლოს სტუდენტს არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარების პერსპექტივები.

ხელოვნებამცოდნეობა:

- შეასწავლოს სტუდენტს ხელოვნების ისტორიის ძირითადი დებულებები და თეორიები;
- შეასწავლოს სტუდენტს ვიზუალური ხელოვნების ტრადიციული დარგები და თანამედროვე ფორმები;
- შეასწავლოს სტუდენტს ანტიკური სამყაროს,ბიზანტიისა და შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპისა და ქართული ხელოვნების განვითარების ეტაპები.
- განუვითაროს მას სახვითი და არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი კულტურულსა და ისტორიულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- განუვითაროს მას ხელოვნებამცოდნეობისა და მასთან მონათესავე დარგების პრობლემებისა და დანიშნულების შემეცნების უნარი.

თეატრმცოდნეობა:

- მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიოს თეატრის შესახებ;
- განუვითაროს მას თეატრალური დადგმების კრიტიკული შეფასების, მათი კულტურულსა და ისტორიულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტაციის უნარი;
- შეასწავლოს სტუდენტს რეჟისურის საფუძვლები,მისი განვითარების ტენდენციები;
- მისცეს მას ცოდნა სპექტაკლზე მუშაობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესახებ;
- შეასწავლოს თანამედროვე მსოფლიო თეატრში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესები;
- მისცეს ცოდნა თანამედროვე თეატრის ტექნიკური პროგრესის შესახებ.

კინომცოდნეობა:

- შეასწავლოს სტუდენტს საქართველოსა და მსოფლიოს კინოს ისტორია;
- შეასწავლოს მას კინოს განვითარების ეტაპები და ჟანრები:უხმო კინო, დოკუმენტური კინო, ანიმაციური კინო;
- შეასწავლოს სტუდენტს კინოკრიტიკის ხელოვნება;
- განუვითაროს მას კინოშედეგების ანალიზისა და შეფასების, მათი კულტურულსა და ისტორიულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტაციის უნარი.

კულტურის მენეჯმენტი:

- მისცეს სტუდენტს ცოდნა მარკეტინგისა და კულტურის სფეროში;
- ჩამოუყალიბოს მას მარკეტინგული კვლევების ჩატარების და ანალიზის უნარი;
- შეასწავლოს სტუდენტს კულტურული პროექტების დასაფინანსებლად საჭირო თანხების მოძიების გზები;
- შეასწავლო სტუდენტს კულტურული მემკვიდრეობის მახასიათებლები, მათი აღიარების პრინციპები და კლასიფიკაცია,სამართლებრივი გარემო, მათი დაცვის პრაქტიკული და იურიდიული მექანიზმები;
- მისცეს სტუდენტს ცოდნა მენეჯმენტის არსის, ამოცანების, მართვის ფუნქციების,პრინციპებისა და მეთოდების შესახებ.

ლიტერატურათმცოდნეობა:

მომზადოს ლიტერატურათმცოდნეობის დარგში სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ; მისცეს ზოგადი ცოდნა ერთი ან მეტი ქვეყნის ან/და ეპოქის ლიტერატურის შესახებ; შეასწავლოს ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების ძირითადი ესთეტიკური და სტრუქტურული თავისებურებები; გამოუმუშაოს მას ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი.

ქართული ფილოლოგია:

მომზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს ფართო თეორიული ცოდნა ქართული ენის, ენათმეცნიერების საფუძვლების, პრინციპებისა და ძირითადი თეორიების, ქართული ლიტერატურის, ზოგადად, ლიტერატურული პროცესებისა და ტენდენციების შესახებ.

პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, გაეცნონ მშობლიური ენის ისტორიულ, კულტურულ კონტექსტს, რასაც ეფექტურად გამოიყენებენ სამეცნიერო ინფორმაციის განზოგადებისა და ანალიზის დროს, ახალი ფილოლოგიური ცოდნის შექმნის მიზნით.

ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, რაოდენობრივი მსჯელობისა და კრიტიკული ანალიზის უნარი, აგრეთვე გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

1. ცოდნა და გაცნობიერება

ანგლისტიკის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო თეორიული ცოდნა ინგლისური ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, ენის ისტორიისა და სტილისტიკის შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ;
- იცნობს ბრიტანული და/ან ამერიკული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ ან რამდენიმე პერიოდსა და მნიშვნელოვანი ბრიტანელი და/ან ამერიკელი ავტორების შემოქმედებას;
- იცნობს დიდი ბრიტანეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და კულტურულ ძეგლებს.

გერმანისტიკის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო თეორიული ცოდნა გერმანული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, ენის ისტორიისა და სტილისტიკის შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ;
- იცნობს გერმანული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ და/ან რამდენიმე პერიოდსა და მნიშვნელოვანი გერმანელი და/ან ავსტრიელი და/ან შვეიცარიელი ავტორების შემოქმედებას;
- იცნობს გერმანულენოვანი ქვეყნების ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და კულტურულ ძეგლებს.

ესპანისტიკის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო თეორიული ცოდნა ესპანური ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, ენის

ისტორიისა და სტილისტიკის შესახებ;

- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ;
- იცნობს ესპანურენოვანი ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ და/ან რამდენიმე პერიოდსა და მნიშვნელოვანი ესპანელი და/ან ლათინოამერიკელი ავტორების შემოქმედებას;
- იცნობს ესპანურენოვანი ქვეყნების ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და კულტურულ ძეგლებს.

საფრანგეთისმცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო თეორიული ცოდნა ფრანგული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, ენის ისტორიისა და სტილისტიკის შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ;
- იცნობს ფრანგული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ და/ან რამდენიმე პერიოდსა და მნიშვნელოვანი ფრანგი ავტორების შემოქმედებას;
- იცნობს საფრანგეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და კულტურულ ძეგლებს.

იტალიისმცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო თეორიული ცოდნა იტალიური ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, ენის ისტორიისა და სტილისტიკის შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ;
- იცნობს იტალიური ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ და/ან რამდენიმე პერიოდსა და მნიშვნელოვანი იტალიელი ავტორების შემოქმედებას;
- იცნობს იტალიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და კულტურულ ძეგლებს.

სლავისტიკის (რუსისტიკა) მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო თეორიული ცოდნა რუსული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, ენის ისტორიისა და სტილისტიკის შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა რუსეთისა და თანამედროვე რუსული საზოგადოების შესახებ;
- იცნობს რუსული ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ და/ან რამდენიმე პერიოდსა და მნიშვნელოვანი რუსი ავტორების შემოქმედებას;
- იცნობს რუსეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და კულტურულ ძეგლებს.

აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ახლო აღმოსავლეთის ისტორიის და ისტორიული განვითარების თავისებურებების ფართო ცოდნა;
- იცნობს ერთ-ერთ აღმოსავლურ ენას (სპარსული / ებრაული / არაბული / თურქული) და შესაბამისი ენის ფონეტიკის და/ან მორფოლოგიის და/ან სინტაქსის და/ან ლექსიკოლოგიის ძირითად პრინციპებსა და საფუძვლებს;
- მას აქვს ახლო აღმოსავლური სივრცის ლიტერატურის ფართო ცოდნა, იცნობს ერთ-ერთი აღმოსავლური ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ავტორების შემოქმედებასა და მათ ნაწარმოებებს;
- იგი იცნობს შესაბამისი ქვეყნის ისტორიას, მისი განვითარების ეტაპებსა და თანამედროვე მდგომარეობას, ასევე კულტურას, პოლიტიკურსა და სოციალურ სისტემებს;
- მას შეუძლია გააანალიზოს ახლო აღმოსავლეთისა და მშობლიური კულტურები ერთმანეთთან მიმართებაში.

ისტორიის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ფართო ცოდნა (საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის);
- აქვს მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიისრომელიმე ეპოქის და/ან დიაქრონული მოვლენის ფართო ცოდნა;
- აქვს ზოგადი ცოდნა მსოფლო ცივილიზაციების შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა სხვადასხვა პერიოდსა და კონტექსტში ისტორიული ხედვების განსხვავებულობის შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ისტორიული მოვლენის, პერიოდის ან/და ეპოქის თანამედროვე დებატების შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ისტორიული კვლევის ძირითადი მეთოდებისა და მიდგომების შესახებ;

არქეოლოგიის მიმართულების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ფართო ცოდნა:

- არქეოლოგიის და მისი როლის შესახებ კაცობრიობის ისტორიის კვლევისა და მეცნიერებათა სისტემაში;

- არქეოლოგიურ წყაროთა სპეციფიკის, სახეობების და მათი გამოყენების შესახებ არქეოლოგიური კვლევადიების პროცესში;
- კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ევროპისა და კავკასიის ქვის ხანის, ბრინჯაოს ხანის, რკინის ხანის, კლასიკური ხანის და შუა საუკუნეების არქეოლოგიური კულტურების შესახებ;
- მსოფლიოს წამყვანი მუზეუმებისა და მათი არქეოლოგიური სამუზეუმო კოლექციების შესახებ;
- ძველი ცივილიზაციების მატერიალური კულტურისა და ეთნოგრაფიის საფუძვლების შესახებ;
- კულტურის სფეროს საკანონმდებლო აქტებისა და მისი მენეჯმენტის კუთხით.

ხელოვნება-მცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო ცოდნა მსოფლიოს სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდების შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ვიზუალური ხელოვნების ტრადიციული დარგებისა და თანამედროვე ფორმების შესახებ;
- აქვს ზოგადი ცოდნა რამდენიმე გეოგრაფიული რეგიონის ან/და ქრონოლოგიური პერიოდის სახვითი და სამშენებლო ხელოვნების შესახებ;
- აცნობიერებს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ძირითად ასპექტებს.
- აცნობიერებს ხელოვნების როლს და დანიშნულებას საზოგადოების კულტურული იდენტობის ფორმირებაში;

თეატრ-მცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო წარმოდგენა მსოფლიოს თეატრის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდებისა და საკითხების შესახებ;
- აქვს ერთზე მეტი გეოგრაფიული რეგიონის და/ან ქრონოლოგიური პერიოდის სათეატრო კულტურის შესახებ შედარებით ღრმა ცოდნა;
- იგი აცნობიერებს კონტექსტს, რომელშიც სათეატრო ნაწარმოები შეიქმნა;
- იცნობს და აანალიზებს დარგთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას;
- აქვს ლიტერატურის, მუსიკის, სცენოგრაფიის, ცეკვის და ა.შ. დისციპლინების შესახებ ზოგადი წარმოდგენა.

კინომცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიოს კინემატოგრაფის განვითარების ეტაპების შესახებ;
- იცის კინოს თეორიის ფუნდამენტური პრინციპები და მისი განვითარების ეტაპები;
- აქვს ფართო ცოდნა თანამედროვე კინემატოგრაფის სპეციფიკის, მახასიათებლების და განვითარების ტენდენციების შესახებ;
- იცის კინოკრიტიკის საფუძვლები, ძირითადი მიდგომები და მისი თანამედროვე ასპექტები;
- გაცნობიერებული აქვს კინემატოგრაფის როლი საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაში და კულტურის განვითარებაში;
- აქვს ფართო ცოდნა ესთეტიკის და კინოფილმის აღქმის თავისებურებების შესახებ.

კულტურის მენეჯმენტის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ცოდნა კულტურის თანამედროვე მდგომარეობისა და მოთხოვნების შესახებ;
- აქვს ცოდნა კულტურის მენეჯმენტისა და კულტურის მარკეტინგის კონცეფციების, ღირებულებებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ;
- აქვს ცოდნა კულტურის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ;
- შესაბამისი კურსის/კურსების არჩევის შემთხვევაში იგი იცნობს საშემსრულებლო ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობის, კინო-ტელე და კულტურული ტურიზმის სფეროების მენეჯმენტის სპეციფიკას;
- იგი იცნობს საზოგადოებასთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ;
- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების ესთეტიკური და სტრუქტურული თავისებურებების შესახებ;
- აცნობიერებს ლიტერატურული ნაწარმოებების სტრუქტურირების პროცესს;
- აქვს ფართო ცოდნა ერთი ან მეტი ქვეყნის ან/და ეპოქის ლიტერატურის შესახებ;
- იცნობს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ავტორებს და მათ ნაწარმოებებს;
- გათვითცნობიერებული აქვს ქართული ლიტერატურის ადგილი და მნიშვნელობა ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში;
- იგი აცნობიერებს ლიტერატურული ნაწარმოების მნიშვნელობასა და ღირებულებას.

ქართული ფილოლოგიის მიმართულების შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

- აქვს ფართო ცოდნა ენათმეცნიერების საფუძვლების, პრინციპებისა და ძირითადი თეორიების შესახებ;
- აქვს ცოდნა ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის და წინადადების მორფოლოგიურ სინტაქსური აგებულების შესახებ;
- იცის ენობრივი ფორმების მნიშვნელობა (სემანტიკა) და გამოყენება (პრაგმატიკა);
- აქვს ფართო ცოდნა ენის განვითარების ისტორიის შესახებ;
- შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში, იცის ენის სწავლებასთან და ლინგვისტური მასალის მოგროვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამები;
- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ.
- იცნობს ძირითად ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებს;
- აქვს ფართო თეორიული ცოდნა ქართულენოვანი ლიტერატურის შესახებ;
- აქვს ქართული კულტურული, ნაციონალური კონტექსტის ცოდნა.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ანგლისტიკის, გერმანისტიკის, ესპანისტიკის, საფრანგეთისმცოდნეობის, იტალიისმცოდნეობის, სლავისტიკის (რუსისტიკა) მიმართულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- თეორიული ლინგვისტური კონცეფციებისა და ტერმინოლოგიის გამოყენება;
- ლინგვისტური პროცესების აღწერა;
- ენათმეცნიერული ტერმინოლოგიის გამოყენებით ენობრივი წარმონაქმნების (ტექსტები და დისკურსები), ასევე პროცესების და ტენდენციების აღწერა და გაანალიზება;
- ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებების და ტერმინების გამოყენება;
- ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვება, აღწერა და ინტერპრეტაცია; ასევე მათი ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში განხილვა;
- მარტივი ლიტერატურული ნაწარმოების ქართულ ენაზე ლიტერატურული სტილის ნორმებისა და თარგმანის სტილისტიკის წესების დაცვით თარგმნა.

კურსდამთავრებული ფლობს ერთ-ერთ **ევროპულ ენას** (ინგლისური / გერმანული / ესპანური / ფრანგული / იტალიური / რუსული) **B2 დონეზე**, მას შეუძლია შესაბამის ენაზე:

- კომუნიკაცია, ჩატარებული ლექციის მოსმენა, გააზრება და გამართულ პროფესიულ დისკუსიაში აქტიურად ჩართვა;
- მხატვრული ლიტერატურის, სამეცნიერო ნაშრომების და საგაზეთო თუ ინტერნეტგამოცემების ტექსტების კითხვა/გააზრება;
- გამართულად, შესაბამისი სტილით სხვადასხვა ფუნქციური ტიპის წერილობითი ტექსტების შექმნა.

აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ახლო აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებისადმი თეორიული მიდგომებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში ქართველი და უცხოელი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსების მიერ შექმნილი შრომების დამუშავება;
- ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებების და ტერმინების გამოყენება;
- ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვება, აღწერა და ინტერპრეტაცია; ასევე მათი ისტორიულ და

- კულტურულ კონტექსტში განხილვა;
- ზოგიერთი თეორიული ლინგვისტური კონცეფციისა და ტერმინოლოგიის გამოყენება;
- ზოგიერთი ლინგვისტური პროცესის აღწერა და გაანალიზება.

კურსდამთავრებული ფლობს რომელიმე **ადმოსავლურ ენას (სპარსული / ებრაული / არაბული / თურქული) საშუალო დონეზე**, მას შეუძლია შესაბამის ენაზე:

- წერილობითი (საშუალო სირთულის) ტექსტიდან ძირითადი აზრის გამოტანა, თუკი ტექსტი დაწერილია სტანდარტული ენით;
- დისკუსიის მოსმენა და გაგება;
- წინასწარი მომზადების გარეშე ლექციის, მარტივი მოხსენების მოსმენა და ძირითადი აზრის გამოტანა, თუკი საუბარი შედარებით ნელა მიმდინარეობს;
- პროფესიულ სფეროში და მისთვის ნაცნობ თემებზე პასუხის გაცემა და გასაგები ენით არგუმენტირება;
- მოკლე განმარტებების, რჩევების მიცემა;
- წიგნიდან ან ფილმიდან ძირითადი შინაარსის გადმოცემა;
- მარტივი, ოფიციალური ტექსტების შექმნა, და მისთვის ნაცნობ თემაზე წერილობითი პასუხის გაცემა.

ისტორიის მიმართულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს:

- შეუძლია სხვადასხვა ისტორიული მოვლენის (ნაციონალური და მსოფლიო ისტორიის ფარგლებში) იდენტიფიკაცია და ანალიზი;
- შეუძლია მოვლენების, ისტორიული ხედვის კრიტიკული შეფასება როგორც ადგილობრივ (ნაციონალურ), ისე მსოფლიოს ისტორიისა და კულტურის კონტექსტში;
- შეუძლია (ნაციონალური და მსოფლიო ისტორიის ფარგლებში) სხვადასხვა მოვლენის, ეპოქის ან/და პერიოდის შედარებითი ანალიზი;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია კვლევითი ხასიათის პროექტების განხორციელება ისტორიული კვლევის შესაბამისი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით.

არქეოლოგიის მიმართულების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საბაზისო დონეზე შეუძლია:

- ხელმძღვანელის მეთვალყურეობის პირობებში კვლევითი ხასიათის სამუშაოების ყველა ეტაპზე (საველე, კამერალური და ლაბორატორიული) მონაწილეობის მიღება;
- სხვადასხვა ტიპის არქეოლოგიური ძეგლის (მღვიმე, ღია სადგომები, სამაროვანი, ნამოსახლარი და სხვა) დაზვერვა და გათხრა;
- მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დაჯგუფება-აღწერა და მასალის ლაბორატორიული დამუშავება;
- არქეოლოგიურ ობიექტებზე მუშაობისას ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების გამოყენება;
- მცირე ხასიათი კვლევის დაგეგმვა და ჩატარება უსაფრთხოების ნორმების წესების დაცვით;
- მოპოვებული მასალის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა და პუბლიცირება.

ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს:

- შეუძლია სხვადასხვა ისტორიული ეპოქისა და ხალხის ხელოვნების ნაწარმოებთა მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების იდენტიფიკაცია და ანალიზი;
- შეუძლია ვიზუალური მასალის პირველწყაროდ გამოყენება;
- შეუძლია ხელოვნების ისტორიის ცალკეული პერიოდის და სახელოვნებო დარგების მხატვრულ-სტილური და კონცეპტუალური თავისებურებების გარჩევა, შეფასება და ანალიზი;
- შეუძლია საბაზისო დონეზე არტეფაქტზე დაკვირვება და მისი ანალიზი კულტურულ-ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით;
- შეუძლია მიაკუთვნოს არტეფაქტი შესაბამის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს.

თეატრმცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს:

- აქვს გამოიყენებული პრობლემის იდენტიფიკაციის უნარი, შეუძლია მისთვის საინტერესო საკითხის შეფასება;
- შეუძლია საბაზისო დონეზე სათეატრო კულტურის კომპონენტებზე დაკვირვება და მათი ანალიზი;

- შეუძლია მიაკუთვნოს სათეატრო ნაწარმოები და მოვლენა შესაბამის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს;
- შეუძლია თეატრის ისტორიის ცალკეული პერიოდისა და ცალკეული სახელოვნებო დარგის მხატვრულ-სტილისტური და კონცეპტუალური თავისებურებების გარჩევა.

კინომცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს/კურსდამთავრებულს:

- შეუძლია სხვადასხვა ქვეყნის კინემატოგრაფის ისტორიულ, კულტურულ, ფილოსოფიურ და სოციალურ კონტექსტში ანალიზი; შეუძლია კინოში მიმდინარე თანამედროვე პროცესების და ტენდენციების ანალიზი;
- შეუძლია გამოიყენოს კინოს თეორიის ფუნდამენტური პრინციპები კინო-ნაწარმოების კრიტიკული შეფასებისას;
- შეუძლია მოახდინოს კინოენის და ესთეტიკური ასპექტების ანალიზი; შეუძლია სხვადასხვა სტილისა და ჟანრის კინო-ნაწარმოებების ფორმის ანალიზი.

კულტურის მენეჯმენტის მიმართულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს/კურსდამთავრებულს:

- აქვს გამომუშავებული პრობლემის იდენტიფიკაციის უნარი, შეუძლია მისთვის საინტერესო საკითხის შეფასება;
- შეუძლია სიტუაციური ანალიზი და კულტურის სფეროს მენეჯმენტში ძირითადი მმართველობითი ფუნქციების განხორციელება;
- აქვს მენეჯერის პრაქტიკული უნარები, როგორცაა: კულტურის პროექტის განხორციელებისას მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება და ეფექტური კომუნიკაცია.
- შეუძლია კულტურის ორგანიზაციისთვის მარკეტინგის პრინციპების გამოყენება;
- შეუძლია კულტურის პოლიტიკის მოდელის ზოგადი ანალიზი;
- იცნობს კულტურის სფეროში თანხების მოზიდვის მეთოდებს.

ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს/კურსდამთავრებულს:

- შეუძლია დაუკავშიროს ლიტერატურული ნაწარმოები შესაბამის ისტორიულ, ინტელექტუალურ, კულტურულ კონტექსტს;
- შეუძლია გამოიყენოს ძირითადი ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებები და კონფიგურაციები;
- შეუძლია ლიტერატურული ტექსტების ანალიზი და ინტერპრეტაცია;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პრიობებში შეუძლია კვლევითი ხასიათის პროექტის განხორციელება ლიტერათმცოდნეობაში არსებული აქტუალური საკითხის/პრობლემის შესახებ დარგში არსებული მიდგომებისა და პრინციპების გამოყენებით.

ქართული ფილოლოგიის მიმართულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს:

- შეუძლია ტექსტების ტიპებისა და ენობრივი ვარიაციების განსაზღვრა;
- შეუძლია ენობრივი წარმონაქმნებისა (ტექსტი, დისკურსი) და ლექსიკური ერთეულების (ლექსიკა) ლინგვისტური ანალიზი;
- შეუძლია ტექსტის რედაქტირება;
- შეუძლია ლინგვისტური მონაცემების მოგროვება და დამუშავება სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში;
- შეუძლია აუდიო-ჩანაწერების შექმნა და ელემენტარულ დონეზე ანოტირება შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში;
- შეუძლია ელემენტარული ენობრივი კორპუსის შექმნა და მონაცემების ტრანსკრიბირება შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში;
- შეუძლია სავსე პირობებში ლინგვისტური კვლევის ჩატარება, კითხვარების შედგენა და ინფორმანტებთან მუშაობა, ისევე როგორც მოპოვებული მასალის დამუშავება შესაბამისი კურსების არჩევის შემთხვევაში;
- აქვს ლიტერატურული ტექსტის წაკითხვის, ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარი;
- შეუძლია ქართული ლიტერატურის ისტორიულ პროცესებთან დაკავშირება;
- შეუძლია ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურასთან დაკავშირება ეპოქების (მაგალითად: რეალიზმი, რომანტიზმი) და ჟანრების (ეპოსი...) თვალსაზრისით;
- გამომუშავებული აქვს ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისადმი კრიტიკული,

თვითრეფლექსიური მიდგომა;

- აქვს ლიტერატურულ ტექსტში ეთიკური საკითხების იდენტიფიცირების, ასევე ქართულ და სხვადასხვა კულტურულ და ისტორიულ კონტექსტებთან მათი დაკავშირების უნარი;
- ლიტერატურულ ტექსტში წამოჭრილი კრიტიკული საკითხების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარი;
- შეუძლია გამართული ფორმის, მკაფიო ლოგიკის, დამაჯერებელი და არსებითი აკადემიური ნაშრომის შექმნა - საბაზისო დონეზე;
- აქვს ტექსტის სტატუსში სათანადო ცვლილებების აღქმისა და შეფასების უნარი;
- აქვს ლიტერატურისა და ძალაუფლების დისკურსის მიმართების გაცნობიერების უნარი;
- აქვს ლიტერატურული ნაწარმოებებისა და ისტორიული წყაროების ურთიერთმიმართებისა და განსხვავებების გაცნობიერების უნარი;
- აქვს კანონიკურობისა და ლიტერატურული კანონების დადგენასთან დაკავშირებული პრობლემების გაცნობიერების უნარი.

პროგრამის კურსდამთავრებულს წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების მიხედვით შეუძლია კვლევითი და/ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება, მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია და ეფექტური პრეზენტაციის ჩატარება.

3. დასკვნის უნარი

- კურსდამთავრებულს აქვს ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და რეზიუმირების უნარი;
- მას გამომუშავებული აქვს რაოდენობრივი მსჯელობის უნარი, შეუძლია რაოდენობრივი ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და მსჯელობა.
- აქვს ენობრივი და ლიტერატურული მოვლენებისა და სისტემების ინტერკულტურულ კონტექსტში გააზრების უნარი;
- დარგის კრიტიკული კანონების შესაბამისად ტექსტებისა და დოკუმენტების სწორად კომენტირების, ანოტირების უნარი;
- პრობლემის იდენტიფიკაციის, წარმოჩენისა და გადაჭრის უნარი;
- დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- მას შეუძლია დარგობრივი ტექსტების წაკითხვა და გაანალიზება მშობლიურ ანდა ერთ-ერთ უცხო ენაზე.

4. კომუნიკაციის უნარი

- დარგობრივი საკითხების შესახებ კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაცია უცხოურ და ქართულ ენაზე სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან;
- შეუძლია წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- იგი იცნობს და ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
- მას შეუძლია დარგობრივი ტექსტებისა და წყაროების კითხვა მშობლიურ და ერთ-ერთ უცხო ენაზე.

5. სწავლის უნარი

- კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების სწორად განსაზღვრა;
- აქვს ცოდნის კვლავდაკვლავ გაფართოების უნარი;
- აქვს დროის დაგეგმვის და მართვის უნარი;
- აქვს ახალი იდეების გენერირების უნარი (კრეატიულობა);
- აქვს გუნდური მუშაობის უნარი.

6. ღირებულებები

- კურსდამთავრებული აცნობიერებს სხვა კულტურებისა და განსხვავებულობის მიმართ ღიაობის და ტოლერანტობის მნიშვნელობას;
- კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში;
- კურსდამთავრებულს აქვს მოვლენების ინტელექტუალური და ეთიკური შეფასების უნარი;
- კურსდამთავრებულს შეუძლია პლაგიატობის თავიდან აცილება, სხვათა ნაშრომების ციტირებისა და რეფერირების წესების დაცვით.

სწავლების მეთოდები

- ვერბალური მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდი
- ელექტრონული სწავლების ელემენტები

- დემონსტრირების მეთოდი
- დისკუსია/დებატები
- შემთხვევის ანალიზი (easy study)
- გონებრივი იერიში
- ჯგუფური მუშაობა
- სავსე გასვლები

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს აძლევს საშუალებას, შეიძინოს ფართო ცოდნა ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერებების შესახებ, აირჩიოს ერთ-ერთი მიმართულება (ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია და არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, კულტურის მენეჯმენტი, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება) და არჩეული მიმართულების ფარგლებში მიიღოს შედარებით ღრმა ცოდნა.

ანგლისტიკის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინგლისურ ფილოლოგიაში) უნდა შეისწავლოს:

- ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
- სავალდებულო კურსები - კოდით - HUMENGEN - 48 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMEN – არანაკლებ 60 კრედიტი, მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები და ლიტერატურათმცოდნეობის კურსები - სულ მცირე 12 კრედიტი
- არჩევითი კურსები კოდით - HUMEN – 12 კრედიტი
- კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

გერმანისტიკის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი გერმანულ ფილოლოგიაში) უნდა შეისწავლოს:

- ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
- სავალდებულო კურსები - კოდით - HUMDEUGEN – 24 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMDEU– არანაკლებ 78 კრედიტი, მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები (სავალდებულოა - გერმანული ენის პრაქტიკული კურსი B2.2)
- არჩევითი კურსები კოდით - HUMDEU – 18 კრედიტი
- კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

ესპანისტიკის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ესპანისტიკაში) უნდა შეისწავლოს:

- ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
- სავალდებულო კურსები - კოდით - HUMESPGEN – 36 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMESP– არანაკლებ 60 კრედიტი, მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები (სავალდებულოა - ესპანური ენის პრაქტიკული კურსი B2.2)
- არჩევითი კურსები კოდით - HUMESP – 12 კრედიტი
- *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I და შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II* – 12 კრედიტი
- კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

საფრანგეთისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საფრანგეთისმცოდნეობაში) უნდა შეისწავლოს:

- ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
- სავალდებულო კურსები - კოდით - HUMFRGEN – 48 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMFR– არანაკლებ 60 კრედიტი, მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები (სავალდებულოა - ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი B2.2)
- არჩევითი კურსები კოდით - HUMFR – 12 კრედიტი
- კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

იტალიისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი იტალიისმცოდნეობაში) უნდა შეისწავლოს:

- ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
- სავალდებულო კურსები - კოდით - HUMITGEN – 30 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMIT– არანაკლებ 66 კრედიტი, მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები (სავალდებულოა - იტალიური ენის პრაქტიკული კურსი B2.2)
- არჩევითი კურსები კოდით - HUMIT – 12 კრედიტი

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I და შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II – 12 კრედიტი
- კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

სლავისტიკის (რუსისტიკა) მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სლავისტიკაში) უნდა შეისწავლოს:

- ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
- სავალდებულო კურსი „სლავისტიკის შესავალი“ - კოდით - HUMSLGEN და სავალდებულო კურსები კოდით – HUMSLRU - 60 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMSLRU– არანაკლებ 48 კრედიტი, მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები (სავალდებულოა - რუსული ენის პრაქტიკული კურსი B2.2)
- არჩევითი კურსები კოდით - HUMSLRU – 12 კრედიტი
- კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების სტუდენტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი აღმოსავლური ქვეყნის მოდული (ირანი / ისრაელი / არაბული ქვეყნები / თურქეთი) და უნდა შეისწავლოს:

- ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
- სავალდებულო კურსები - კოდით HUMORIRGEN / HUMORHEBGEN / HUMORARGEN / HUMORTUGEN – 48 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები შესაბამისი ქვეყნის მიხედვით კოდებით - HUMORIR / HUMORHEB / HUMORAR / HUMORTU – არანაკლებ 60 კრედიტი (მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები კოდით შესაბამისი ქვეყნის მიხედვით - HUMORIR / HUMORHEB / HUMORAR / HUMORTU, სავალდებულოა - პრაქტიკული კურსი - საშუალო დონე II)
- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I და შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II – 12 კრედიტი
- კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

ისტორიის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ისტორიაში) უნდა შეისწავლოს:

1. ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
2. ისტორიის მიმართულების სავალდებულო კურსები კოდებით - HUMHISTGEN – 42 კრედიტი:
3. ისტორიის მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდებით - HUMHIST– 54 კრედიტი
4. ისტორიის მიმართულების არჩევითი კურსები კოდებით - HUMHIST – 24 კრედიტი
5. კურსები დამატებითი სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტმა არქეოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად უნდა შეისწავლოს:

1. ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO - 60 კრედიტი;
2. არქეოლოგიის მიმართულების სავალდებულო კურსების მოდულიდან - 48 კრედიტი.
3. არქეოლოგიის მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების მოდულიდან - 48 კრედიტი.
4. არქეოლოგიის მიმართულების არჩევითი კურსების მოდულიდან არაუმეტეს - 24 კრედიტი.
- არჩევითი კურსების მოდული მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს - 12 კრედიტი; (სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომს ირჩევს სურვილისამებრ, შეთავაზებული 24 კრედიტის ფარგლებში).
5. დამატებითი სპეციალობა ან თავისუფალი კრედიტები - 60 კრედიტი.

ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში) უნდა შეისწავლოს:

1. ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
2. ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების სავალდებულო კურსები კოდებით - HUMHAGEN – 48 კრედიტი:
3. ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMHA – 48 კრედიტი
4. ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების არჩევითი კურსები HUMHA – 24 კრედიტი
5. კურსები დამატებითი სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

თეატრმცოდნეობის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში) უნდა შეისწავლოს:

1. ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი

2. თეატრმცოდნეობის მიმართულების სავალდებულო კურსები კოდებით - HUMTHGEN – **54** კრედიტი;
3. თეატრმცოდნეობის მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდებით - HUMTH – **36** კრედიტი
4. თეატრმცოდნეობის მიმართულების არჩევითი კურსები კოდებით HUMTH – 18
5. *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I* და *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II* – 12 კრედიტი
6. კურსები დამატებითი სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

კინომცოდნეობის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში) უნდა შეისწავლოს:

1. ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
2. კინომცოდნეობის მიმართულების სავალდებულო კურსები კოდებით - HUMCINGEN – **60** კრედიტი;
3. კინომცოდნეობის მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდებით - HUMCIN – **42** კრედიტი
4. კინომცოდნეობის მიმართულების არჩევითი კურსები კოდებით - HUMCIN – **18** კრედიტი
5. კურსები დამატებითი სპეცილობიდან ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

კულტურის მენეჯმენტის მიმართულების სტუდენტმა (მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი) უნდა შეისწავლოს:

1. ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
2. კულტურის მენეჯმენტის მიმართულების სავალდებულო კურსები კოდებით - HUMCLMGEN – **54** კრედიტი;
3. კულტურის მენეჯმენტის მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდებით - HUMCLM – **36** კრედიტი
4. კულტურის მენეჯმენტის მიმართულების არჩევითი კურსები კოდებით - HUMCLM – **18** კრედიტი
5. *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I* და *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II* – 12 კრედიტი
6. კურსები დამატებითი სპეცილობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფილოლოგიაში) უნდა შეისწავლოს:

1. ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი
მათ შორის **12 კრედიტი** ზოგადი მოდულის შემდეგი შესავალი კურსებიდან:
ფანტასტიკა დასავლურ ლიტერატურაში
თანამედროვე ლიტერატურა მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე
დმერთები, გმირები და ურჩხულები: შესავალი კულტურულ ანთროპოლოგიაში
შესავალი კურსი - რა არის პოეზია
2. სავალდებულო კურსები კოდებით - HUMLITGEN – **36 კრედიტი**
ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი
ლიტერატურული ტექსტის ანალიზი
ანტიკური ლიტერატურა
დასავლური ლიტერატურის ისტორია
ქართული ლიტერატურის პარადიგმატული ისტორია
საბაკალავრო ნაშრომი
3. სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMLIT – **48 კრედიტი**
4. არჩევითი კურსები კოდებით - HUMLIT – არაუმეტეს **24 კრედიტი** (სტუდენტს შეუძლია არჩევითი კურსების ნაცვლად გაიაროს პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები)
5. კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების ფარგლებში - 60 კრედიტი

ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტმა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფილოლოგიაში) უნდა შეისწავლოს:

1. ზოგადი მოდული/ბლოკი კოდით INTRO – 60 კრედიტი
2. სავალდებულო კურსები კოდებით HUMPHLGEN – 60 კრედიტი;
ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი
ენათმეცნიერების შესავალი
შესავალი ქართულ ფილოლოგიაში
მორფოლოგია 1
მორფოლოგია 2
ქართული ენის სინტაქსი

მველი ქართული საეკლესიო მწერლობა
ქართული ლიტერატურა XII-XVIII საუკუნეებში
ქართული ლიტერატურა XIX საუკუნეში
ქართული ლიტერატურა XX-XXI საუკუნეებში

3. სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით - HUMPHL – არანაკლებ 42 კრედიტი;
აქედან არანაკლებ 12 კრედიტი ენათმეცნიერების კურსების სავალდებულო-არჩევითი ბლოკიდან და არანაკლებ 12 კრედიტი ლიტერატურის კურსების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან;
სავალდებულო-არჩევითი კურსების ფარგლებში სტუდენტს ასევე ექნება შესაძლებლობა დაწეროს საბაკალავრო ნაშრომი
4. არჩევითი კურსები კოდით - HUMPHL – მაქსიმუმ 18 კრედიტი
5. კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში - 60 კრედიტი

შეფასების წესი

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თითოეული სასწავლო კურსისათვის შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და ქულათა განაწილება განსაზღვრულია შესაბამის სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

- საერთაშორისო-კულტურული ურთიერთობები - საელჩოს/საკონსულოს თანამშრომლად
- საერთაშორისო ორგანიზაციები, ფონდები
- სოციალურ-ჰუმანიტარული და ბიზნესის სფეროები - თარჯიმან-რეფერენტად
- საჯარო სექტორი: საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურის სამინისტრო
- კულტურული ტურიზმი
- კერძო სექტორი
- არასამთავრობო სექტორი
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები
- მასობრივი მედია და ჟურნალისტიკა: უცხოენოვანი გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო და ახალი მედიები
- განათლების სფერო (განათლების მიმართულებიდან მეორე პროგრამის არჩევის შემთხვევაში)
- გალერეები, მუზეუმები, არქივები, ხელოვნების აუქციონები
- საარქივო, საბიბლიოთეკო სფერო
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები, არქივები
- საჯარო სექტორი
- კულტურის სამინისტრო, რეგიონული და მუნიციპალური განყოფილებები
- კულტურული პროექტები
- ხელოვნების აუქციონები
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროები
- მასობრივი მედია და ჟურნალისტიკა: გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო, და ახალი მედიები
- ფესტივალები
- ხელოვნების მოკლევადიანი და ხანგრძლივი პროექტები
- შოუ-ბიზნესი
- სათეატრო კულტურის მხატვრული მართვის და კვლევის სფერო
- თეატრები და სტუდიები
- საშემსრულებლო ხელოვნების მოკლევადიანი და ხანგრძლივი პროექტები
- ხელოვნების მოკლევადიანი და ხანგრძლივი პროექტები
- კინოთეატრები
- კინოწარმოება

- კინო-სტუდიები
- კინო-ფესტივალები
- კინოცენტრი
- კინო-არქივები
- სარეკლამო ბიზნესი
- კულტურის მენეჯმენტის და მარკეტინგის სფეროები
- საკონცერტო დაწესებულებები
- საპროდიუსერო სამსახური
- მთარგმნელობითი სფერო

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი
- სალექციო აუდიტორიები
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
- სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი
- ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი
- შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი
- გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
- საუნივერსიტეტო გამომცემლობა
- გასვლითი ლექციები (ძეგლზე გასვლა)